ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3247948

ნომერი: AR1498839

თარიღი : 26.04.2017

გაცემის თარიღი : 10.05.2017

გაცნობის თარიღი : 10.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა აფხაზავა-გერბერი პ/ნ 01010005149
- თბილისი საირმის ქ. კორ. 10 ბ. 65

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1498839 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემას და

ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 25 ნოემბრის #2954485 ბრძანებით ქ. თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.
2017 წლის 31 მარტს #3182468 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, შპს „ლოქეიშნ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.05.009.098), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2017 წლის 04 მაისის #3243217 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორიაზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
